ავშანფოთლიანი ამბროზია - *Ambrosia artemisiifolia L.*

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან. ფესვი - მთავარღერძა, ძლიერ დატოტვილი, ნიადაგში აღწევს 4 მ-მდე; ღერო - სწორმდგომი, დატოტვილი, შებუსული, 0,1-2,5 მ სიმაღლის; ფოთლები - ერთი ან ორმაგ ფრთისებრდანაკვთული, ქვედა მხრიდან შებუსული; ყვავილები - ყვითელი, კალათად შეკრებილი, ყვავილობს ივლის - აგვისტოში; მტვერი იწვევს ადამიანის ალერგიულ რეაქციებს.

სამნაკვთიანი ამბროზია - *Ambrosia trifida L.*

მსხვილი, მძლავრი, ერთწლიანი საგაზაფხულო მცენარეა, სამი მეტრი სიმაღლის ღეროთი, ვეგეტაციის ბოლოს ხევდება და იფარება უხეში, მოკლე ბუსუსებით; ფოთლები ყუნწიანი, პირდაპირ მჯდომარეა, ქვედა ფოთლები ღრმა - 3 ან 5 ნაკვთიანია, ყვავილები - ყვითელი, კალათად შეკრებილი, ყვავილობს ივლის - აგვისტოში; მტვერი იწვევს ალერგიას და თივის ციებ - ცხელებას.

მდელოს წივანა - *Festuca pratensis Hunds.*

მრავალწლიანი ბალახოვანი სარეველაა მარცვლოვანთა ოჯახიდან. ფესვი - ფუნჯა, ვრცელდება ღრმად ნიადაგში; ღერო - სწორმდგომი, 120 სმ-მდე; ფოთლები - ვიწრო ლანცეტისებური, ღია მწვანედან მუქ მწვანემდე; ყვავილედი - საგველა, თავთავები მოგრძო, მწვანე, ოდნავ იასამნისფერი ელფერით, ყვავილობს ივნისში.

ტიმოთელა - *Phleum pretense L.*

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახიდან. ფესვთა სისტემა ძლიერაა განვითარებული, რომელიც ნიადაგში ღრმად ვრცელდება. ღერო - სწორი, 30-100 სმ სიმაღლის; ფოთოლი - ვიწრო, შეუბუსავი, მოცისფრო-მომწვანო; ყვავილედი - რთული თავთავი; ყვავილობს ივნისიდან სექტემბრამდე.

მდელოს მელაკუდა - *Alopecurus pratensis L.*

მრავალწლიანი მარცვლოვანი ბალახოვანი სარეველაა, 50-120 სმ სიმაღლის; მოკლე ფესურა აქვს, ფოთოლი - მჯდომარე, მორიგეობითი, მარტივი, ხაზოვანი, მწვანე; ყვავილედი - რთული საგველა; ყვავილობს მაის-ივნისში.

თ ა თ ა ბ ო - *Atriplex patula L.*

ერთწლიანი, ბალახოვანი სარეველაა ნაცარქათამასებრთა ოჯახიდან. ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორი, დატოტვილი, სიმაღლე 30-90 სმ; ფოთლები - არასწორი რომბისებური, მორიგეობითი, კიდემთლიანი ან დაკბილული, მწვანე ფერის, ახალგაზრდა ფოთლები მონაცრისფრო-მწვანე; ყვავილედი - თავთავისებური, ყვავილები წვრილი.

ოროვანდი - *Arctium lappa L.*

ორწლიანი ბალახოვანი სარეველაა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან. ფესვი - მთავარღერძა, ხორცოვანი, 60 სმ-მდე; ღერო - სწორმდგომი, 60-180 სმ სიმაღლის; ფოთლები - დიდი, გულისებური, მორიგეობითი, მარტივი, ყუნწიანი; ყვავილედი - კალათა, ყვავილები მილისებური, იასამნისფერი, ყვავილობს ივლის-აგვისტოში.

აბზინდა - *Artemisia absinthium L.*

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან. ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორმდგომი; ფოთლები - ფრთისებრდანაკვთული; ყვავილედი - კალათა, სფეროსებური, ყვავილი ყვითელი, წვრილი, მილისებური, ყვავილობს ივნის-ივლისში.

ოქროწკეპლა - *Solidago virga aurea L*

მრავალწლიანი, ფესურიანი, ბალახოვანი სარეველაა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან. ღერო სწორმდგომი, შეფოთლილი, შებუსული, 30-100 სმ სიმაღლის; ფოთლები - მორიგეობითი, ელიფსური, კიდედაკბილული. ყვავილედი - კალათა, ყვავილი ყვითელი, ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე.

ჭინჭარი - *Urtica diodica L.*

მრავალწლიანი, ბალახოვანი, ფესურიანი მცენარეა, 60-200 მმ სიმაღლის; ღერო სწორმდგომი, შებუსული; ფოთლები გულისებრი, კიდედაკბილული; ყვავილები მოყვითალო - მწვანე, ყვავილობს ივნისიდან შემოდგომამდე.

მრავალძარღვა - *Plantago major L.*

მრავალწლიანი, ბალახოვანი მცენარეა, 70 სმ-მდე, ფესურიანი; ფესვები - ძაფისებური, წვრილი; ფოთლები - ფართო, ოვალური ფორმის; ყვავილი წვრილი, მუქი; ყვავილობს მაისიდან - სექტემბრამდე.

ორკბილა - *Bidens tripartita L.*

ერთწლიანი ბალახოვანი სარეველაა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან. ფესვი - მთავარღერძა, ძლიერ დატოტვილი, წვრილი; ღერო - ერთეული, სწორმდგომი, მოწითალო, 60-90 სმ; ფოთლები - მოპირდაპირე, მოკლე ყუნწით, სამნაკვთიანი, ლანცეტისებური, კიდედაკბილული, შიშველი მუქი მწვანე; ყვავილედი - კალათა, ყვავილი ყვითელი, ყვავილობს ივნისის ბოლოდან სექტემბრამდე.